დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის
2020 წლის 02 07 04 *N* 01-136 *ბრძანებით*

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“
ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ კოლეჯში „მერმისი“ (შემდგომში-კოლეჯი) ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი არეგულირებს კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის პროცედურებს.

1.2 კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში სასწავლო/საწარმოო (ტექნოლოგიური) პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის პროცედურებში ჩართული პირები არიან: დირექტორი/დირექტორის მოადგილეები; ადმინისტრაციის წარმომადგენლები: სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ლოჯისტიკის სპეციალისტი და სხვა.

1.3 ამ მუხლის 1.2 პუნქტში მითითებული პირები მოქმედებენ „ნარჩენების მართვის კოდექსით“, „პროფესიული განათლების შესახებ “საქართველოს კანონით, „შესყიდების შესახებ“ საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებით და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

2.1 სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

2.2 განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილ სამსახურებრივ ბარათში.

2.3 კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

ა) ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);

ბ) ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;

გ) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა კოლეჯის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, ხოლო არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში, რომლის ტრანსპორტირებას ახორციელებს შესაბამისი სამსახური.

2.4 ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების, რომლებიც მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, საყოფაცხოვრებო ნაგავში/მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში გადაყრა და საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრა აკრძალულია.

2.5 ვადაგასული და გამოუსადეგარი რეაქტივები უნდა შეგროვდეს ცალკე, საამისოდ გამოყოფილ სივრცეში და უტილიზაციისათვის/გასანადგურებლად გადაეცეს შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს;

2.6 თუ შეუძლებელია უწარწერო ქილაში მოთავსებული ნივთიერების იდენტიფიკაცია, მაშინ ასეთი რეაქტივი გასანადგურებლად უნდა გადაეცეს შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს;

2.7 კოლეჯის ტერიტორიიდან სპეციფიკური ნარჩენების გატანა და განადგურება უნდა განხორციელდეს საამისოდ უფლებამოსილო ორგანიზაციის მიერ, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე.

2.8 კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების განმახორციელებელ პირებს.

მუხლი 3. კონტროლი და პასუხისმგებლობა

3.1 ამ წესში მითითებული პირობების კონტროლი ეკისრება კოლეჯის დირექტორს, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება ფინანსურ და მატერიალურ დარგში დირექტორის მოადგილეს, შესაბამის პასუხისმგებელ პირს/ებს, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულის განმახორციელებელ პირს/ებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1 წინამდებარე წესში ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილების ან/და კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.